თბილისის სასულიერო აკადემია

ბიბლ.,
ბიბლიოთეკა და ხელნაწერთა ეროვნული ფონდი
16.V-96

დოგმატურ - ისტორიული საკითხები

1. მსოფლიო საეკლესიო კრებების მოკლე კურსი

შედგენილი პროფ. ა. ლებედევის ნაშრომის მიხედვით
("Вселенские соборы", т. III-1896 г., т. IV-1904 г.)

2. დოგმატური ღვთისმეტყველების მოკლე კურსი

შედგენილი არქიეპისკოპოს ფილარეტის თხზულების მიხედვით
("Православное догматическое богословие", Сочинение Филарета, Архиепископа Черниговского. 1882 г.)

შემდგენელი: **გრიგოლ რუხაძე**

1994

პეტ. 1,8), მაგრამ მათი მდგომარეობა ზნეობრივი სრულყოფის ხარისხის მიხედვით განსხვავებულია, თუმცა როგორც ნეტ. ავგუსტინე ამბობს, ნეტარებათა შორის განსხვავება არც ერთ წმინდანში შურს არ აღძრავს, რადგან არავინ არ მოისურვებს იმას, რაც ღმერთმა არ მისცა.

ვამთავრებთ რა ღვთის წყალობით "რწმენის . საფუძვლების" გადმოცემას, მას ვის სადიდებლადაც ეს მცირედი შრომა აღესრულა, მადლობას ვწირავთ და ვევედრებით:

"სამებაო მიუწვდომელო, მომეც მონათა შენთა მართალი აღსაარებაი, რაითა გქადაგოთ ღმერთი სრული სამგუამოვნად თვითებითა შეურევნელად, ბუნებით განუყოფელად, ერთარსებით დიდებულად, და ერთობით ვიტყვით ყოველნი: ყოველნი საქმენი უფლისანი აკურთხევდით ღმერთსა ჩუენსა უკუნისამდე". ამინ.

სარჩევი

წინათქმა	2
პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება	3
მეორე მსოფლიო საეკლესიო კრება	6
მესამე მსოფლიო საეკლესიო კრება	8
მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების წინ	10
მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრება	13
დოგმატი ჩვენი უფალი იესო ქრისტეს ერთი პირის ორი ბუნების შესახებ	15
მეხუთე მსოფლიო საეკლესიო კრების წინ	16
ა) მოკლე ცნობები მეოთხე მსოფლიო კრების შემდეგ მონოფიზიტობის გავრცელების შესახებ	16
ბ) დავა სამი თავის შესახებ	18
მეხუთე მსოფლიო საეკლესიო კრება	20
მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების წინ	22
მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრება	24
მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრების წინ	28
ხატმებრძოლეობის ბატონობა	34
მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრება	38
დოგმატური ღვთისმეტყველება	42
შესავალი	42
ღვთის შემეცნება	43
ღვთის არსის თვისებები	45
ღმერთი სამპიროვანია - მამა და ძე და სული წმიდა	50
წმ. სამების საიდუმლოს მითითებანი ძველ აღთქმაში	50
სახარების სწავლება წმ. სამების შესახებ	51
სწავლება წმ. სამების შესახებ მოციქულთა ეპისტოლეებში	51
მამა ღმერთი	52
ძე ღმერთი	52
სულიწმიდა ღმერთი	53
სულიწმიდის საკუთარი თვისება	54
ძე ღმერთისა და მამა ღმერთის საკუთარი თვისება	55
ღვთაებრივ პირთა ერთარსობა	56
ღმერთი - სამყაროს შემოქმედი	57
ღმერთი-შემოქმედი და განმგებელი ანგელოზებისა	58

პეტ. 1,8), მა
მიხედვით გ
ნეტარებათა
აღძრავს, რ
მისცა.

ვამთავრე
გადმოცემას,
მადლობას

"სამებაო
აღსაარებაი,
თვითებითა
დიდებულად
უფლისანი

სწავლება ბოროტი ანგელოზების შესახებ 59
სწავლება ადამიანის შესახებ 61
ადამიანის შექმნა 62
ხვთის ხატება და მსგავსება ადამიანში 62
ადამიანის დაცემა 63
ღვთის განზრახვა ადამიანის გადარჩენისათვის 64
სწავლება იესო ქრისტეს შესახებ 66
ღმერთი - განწმენდელი ადამიანისა 69
ეკლესია 70
ქრისტეს ჰეშმარიტი ეკლესიის თვისებები 71
იერარქია 72
გარდაცვლილი ადამიანის სულის მდგომარეობა უკანასკნელ სამსჯავრომდე
სწავლება ანტიქრისტეს შესახებ 74
იესო ქრისტეს მეორედ მოსვლა 75
76

დოგმატური ღვთისმეტყველება

შესავალი

დოგმატური ღვთისმეტყველების საგანს დოგმატები ანუ გამოცხადებითი რელიგიის მჭვრეტელობითი ჭეშმარიტებანი წარმოადგენენ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველაფერი ის, რასაც რწმენა ღმერთში მისივე წყალობით განჭვრეტს, რადგან ადამიანთან ურთიერთობაში შესვლა ღვთის კეთილმნებელობის შედეგია.

დოგმატი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან, რაც ფიქრს, ვარაუდს, მიჩნევას ნიშნავს. ქრისტიანული თვალსაზრისით კი მასში მტკიცე რწმენა (დაჯერებულობა) და შინაგანი ურყეობა იგულისხმება.

ქრისტიანული დოგმატის განსაკუთრებით აუცილებელი თვისება მისი ღვთაებრივი წარმომავლობაა. მისი სინამდვილე დროებით ყოფაზე კი არაა დამოკიდებული, არამედ მუდამ უცვლელი ღვთის გონის მარადიულ ჭეშმარიტებაზე, რომელიც თავის თავს ღვთაებრივი გამოცხადების დროს ავლენს. ამიტომ მართალნი არ არიან პროტესტანტი ავტორები, რომლებიც დოგმატს ამა თუ იმ დროში გაბატონებულ მოსაზრებად მიიჩნევენ. ამით ისინი ეკლესიის მამათა სწავლების საპირისპიროდ ისტორიულ ჭეშმარიტებას შეურაცხყოფენ და თვით ქრისტიანობას ამცირებენ. მსოფლიო საეკლესიო კრებებზე კი წმ. და ნეტარი მამების მიერ ჩამოყალიბებული დოგმატების მოწინააღმდეგეებს ანათემას უცხადებდნენ.

წმ. ბასილი დიდის თქმით: "ღვთის დოგმატები უცილობელია". სწორედ ამით განსხვავდება ქრისტიანული დოგმატები ყველა სხვა არაქრისტიანული რელიგიის აზრებისაგან, ფილოსოფიური დოგმატებისა ან პოლიტიკისაგან; იგი განსხვავდება ისეთი ქრისტიანული ჭეშმარიტებებისაგანაც, რომლებიც ღვთის გამოცხადებას არ შეიცავს, მაგ. საეკლესიო დადგენილებებისაგან ღვთისმსახურებისა და კეთილმოწესეობის შესახებ. ეკლესიის მამები გამოყოფდნენ დოგმატებს, როგორც მჭვრეტელობითი ჭეშმარიტების დარგს ქრისტიანული წესებისაგან. წმ. კირილე იერუსალიმელი ამბობდა: "მართლმორწმუნეობა ორი საგნისაგან შედგება: ზუსტი, წმიდათაწმიდა დებულებებისა და კეთილი საქმეებისაგან, რადგანაც მხოლოდ დოგმატები კეთილი საქმეების გარეშე ღვთისთვის სათნო არაა; ამასთან, ის საქმეებიც მიუღებელია, რომლებიც მართალი სარწმუნოების დოგმატებზე არ არიან დაფუძნებულნი". წმ. იოანე ოქროპირის სიტყვითაც: "ქრისტიანობა როგორც დოგმატების

კანონებს, ასევე ჯანსაღ ცხოვრებასაც ითხოვს." ასევე მსოფლიო **კრებებიც** რწმენის აღიარებას **დოგმატებს** უწოდებდნენ **და** მათ დროის მოთხოვნილებათა მიხედვით ადგენდნენ, ხოლო ყველა სხვა დადგენილებას კანონებს ანუ ცხოვრების წესებს. დოგმატის არსი ასეც შეიძლება გამოიხატოს: მაშინ, როცა რელიგია ადამიანის ღმერთთან კავშირია, რომელსაც ღვთისა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულება განსაზღვრავს, დოგმატები, ზნეობრივი აზრებისაგან განსხვავებით, ღვთის შესახებ გამოცხადების მჭვრეტელობით აზრსა და ადამიანთან მის კავშირს აღნიშნავენ, რომელიც პრაქტიკული ჭეშმარიტებებისაგან დამოუკიდებლად შეიცნობა.

ქრისტიანული სარწმუნოების მთავარი საგანი ან მთავარი აზრი, რომელიც ყველა დოგმატს ერთმანეთთან აკავშირებს, შეიძლება ასე გამოითქვას: "ქრისტიანული სარწმუნოების არსი ღმერთისა -მამის, ძისა და სულიწმიდის შესახებ სწავლებასა და ცოდვით დაცემული კაცობრიობის გამოხსნით გამოვლენილ ღვთის სიბრძნეში მდგომარეობს".

ახლა კი გავეცნოთ გონების მონაწილეობის საკითხს სარწმუნოებასთან მიმართებაში.

ჩვენში არსებული ეკლესიის საწინააღმდეგო ნებსითი თუ უნებლიეთი ცნობიერება ისევ აპირისპირებს გონებას დოგმატიკასთან. შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ მას, ვისაც არა აქვს სწორი წარმოდგენა არც ღვთისა და არც მისი ნების, არც ადამიანის გონების შესახებ, შეუძლია დაუშვას გონების განმგებლობა გამოცხადების დოგმატებზე. საქმე იმაშია, რომ ცოდვით დამძიმებული ჩვენი გონება მჭვრეტელობითი ჭეშმარიტების გამოცხადებას, როგორც გამოცდილებითაც ცნობილია, ცუდად იგებს (I კორ. 1,21). თანამედროვე ადამიანის სულიერება იმდენად შერყეულია, რომ მისთვის ღვთის განსაკუთრებული შემწეობაა აუცილებელი. თუკი ღმერთმა თავისი უსაზღვრო სახიერებით ადამიანებისათვის თავისი თავის შესახებ ისეთი სწავლების მიცემა ინება, რომელსაც ადამიანი თვითონ ვერასოდეს ვერ შეიტყობდა და ვერ ახსნიდა, ეს მისი (ღმერთის) სიკეთის შედეგია და ადამიანებს ისღა დარჩენიათ, მოკრძალებული მადლიერებით მიიღონ გამოვლენილი სიბრძნე.

ახლა ასე დავსვათ საკითხი: დოგმატიკამ უნდა გადაუღობოს თუ არა გზა გონების გამოძახილს იმ ჭეშმარიტების შესახებ, რომელიც მხოლოდ გამოცხადებითაა ცნობილი? - თუკი გამოცხადება ადამიანს იმისთვის ეძლევა, რომ თავის უძლურებას უმკურნალოს და თვით გამოცხადება ჭეშმარიტების მეთითებით რწმენის. საიდუმლოებებს ჩვენს

შეგნებასთან აახლოებს, დოგმატიკა მაშინ იმოქმედებს გამოცხადების შესაბამისად, როცა გონებას აჩვენებს, რომ ამა თუ იმ გამოცხადების საიდუმლოება, თუმცა შეუძლებელია გონებრივი საწყისიდან მომდინარეობდეს, მაგრამ არ ეწინააღმდეგება გონების მკვრეტელობითსა და პრაქტიკულ მოთხოვნილებებს, არამედ პირიქით, თვით გონების ამა თუ იმ საჭიროებას ეხმარება და ცოდვით მიყენებულ ამა თუ იმ უძლურებას მკურნალობს. ამრიგად, დოგმატიკა აიძულებს რა გონებას აღიაროს რწმენის საიდუმლოებების კეთილისმყოფელი ძალა, კი არ ამცირებს, არამედ გამოცხადებით ჰეშმარიტებებს გონების თვალში აღამაღლებს და მის ჭირვეულობაზე იმარჯვებს. ამიტომ საჭირო არ არის დოგმატურ საკითხებზე სქოლასტიკური და კადნიერი პოლემიკა, სადაც მრავალი საზრდოა ლოგიკური მსჯელობისათვის და ცოტა სულისათვის. გამოცდილება იმის მოწმეა, რომ სარწმუნოებაში ეკვის შეტანა გარეგანი საბაბის გარეშეც, ზოგიერთისათვის შეუმჩნეველადაც კი, ჩვენი წახდენილი სულის სიღრმეში აღმოცენდება. ამ შემთხვევაში კი სარწმუნოების მხრიდან მხოლოდ დუმილი იმდენად არამართებულია, რამდენადაც მავნებელი. მოციქულმა პავლემ ბრძანა, რომ გონება რწმენას უნდა დავუმორჩილოთ (2 კორ. 10,5). ასე მსჯელობდნენ ეკლესიის დიდი მასწავლებლებიც. ნეტ. ავგუსტინეს სიტყვით: "შეუძლებელია, რომ ღმერთს ჩვენში ეჯავრებოდეს ის, რითაც მისივე განგებით ყველა ცხოველზე მაღლა ვდგევართ. ჩვენ იმისათვის არ გვწამს, რომ გონებით არ ვისარგებლოთ; გონიერი სული რომ არ გვქონოდა, სხვაგვარად არც რწმუნება შეგვეძლებოდა". წმ. იოანე ოქროპირი: "განსაკუთრებით მაშინ უფრო გვწამს, როცა ვგებულობთ მიზეზებს, თუ რა რატომ ხდება." სწორედ მათი მსჯელობის საღი აზრით უნდა ილაპარაკოს დოგმატიკამ და მაშინ გონების გადაჭარბებული გაბედულებით გამოწვეული შეცდომებისაგან დაზღვეული ვიქნებით. მხოლოდ აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ მეცნიერებისათვის უფრო აზრებია საჭირო, ვიდრე სიტყვები.

ღვთის შემეცნება

ღმერთი არსით ერთია და ღვთის არსის ყოველი თვისებისათვის ღვთის ერთობა ის პირობაა, რომლითაც თვით ამ თვისებების არსებობაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, ღვთის ერთობა მეტია, ვიდრე ღვთის არსის თვისებები; იგი აუცილებელი პირობაა როგორც

ღვთის ყოფიერებისათვის, ასევე ღვთის არსისათვის. ამავე დროს მანამ, სანამ ღვთის შესახებ რაიმეს ვიტყოდეთ, საჭიროა გავარკვიოთ საკითხი ღვთის შემეცნების შესაძლებლობებზე, რომ ჩვენი მსჯელობა ზომიერებას არ გადაცდეს.

მეორე საუკუნეში ვალენტინი და კარპოკრატე, ხოლო მეოთხეში ევნომიოსი ასწავლიდნენ, რომ ადამიანისათვის ღმერთი სრულიად მისაწვდომია. საპირისპირო აზრს იცავდნენ მარკიონიტები და მათი თანამედროვე ცრუ მასწავლებლები, რომლებიც ამბობდნენ, რომ ღმერთი ჩვენი შემეცნებისათვის სრულიად მიუწვდომელია. ამიტომ საჭიროა გავარკვიოთ: რა შეიძლება ვიცოდეთ ღმერთის შესახებ?

რამეთუ მეცნიერებაი იგი ღმრთისაი ცხად არს მათ შორის, რამეთუ ღმერთმანვე გამოუცხადა მათ (რომ. 1,19). მოციქულის სწავლებით, ადამიანებს შეუძლიათ ღვთის შემეცნება და ეს შესაძლებლობა დაფუძნებულია იმაზე, რომ ღმერთი მათ თავის თავს უცხადებს, ხოლო მათ გამოცხადების მიღების უნარი აქვთ. ამ ღვთივშემეცნების შესაძლებლობას **ბუნებრივი** ეწოდება, რადგანაც თვით ჩვენი ღვთივშექმნილი ბუნების თვისებას წარმოადგენს.

იმავე მოციქულის სწავლებით ღმერთი დროის სხვადასხვა პერიოდში და სხვადასხვაგვარად უცხადებდა ჰეშმარიტებას ხალხს წინასწარმეტყველების მეშვეობით, ხოლო ადამიანებისათვის მისი ყველაზე სრული და უმაღლესი გამოცხადება ძე ღმერთში იყო, რომელიც მარადიული მამის დიდების ბრწყინვალეა (ებრ. 1,3), რადგან ამ ბოლო გამოცხადებას - გამოცხადებას ღვთისა ძე ღმერთში საფუძვლად უდევს ღვთის ნამდვილი და სრული ყოფიერება თავის ძეში, როგორც ასწავლიდა თვით ძე ღვთისა (ინ. 14,7-10). ამიტომ ღვთის შემეცნება ქრისტეში - უეჭველად სწორი და ნამდვილი შემეცნებაა: **ხოლო ვიცით, რამეთუ ძე ღმრთისაი მოვიდა და მომცა ჩვენ გონებაი, რაითა ვიცოდით ჩუენ ჰეშმარიტი ღმერთი და ვართ ჩუენ ჰეშმარიტისა თანა, ძისა მისისა იესო ქრიტესა** (1 ინ. 5,20).

მიუხედავად იმისა, რომ ღმერთმა თავის თავი ადამიანებს ქრისტეში განუცხადა, იუდეველებმა ვერ შეიცნეს იგი. რატომ? **თქუენ ხორცთაებრ სჯით,** ეუბნება მათ მაცხოვარი (ინ. 8,15-19), ანუ თქვენში ცოდნის უნარი ისე არ არის მოწყობილი, რომ ახალი სწავლების გაგება და მიღება შეძლოთ; თქვენ თქვენი წამხდარი ბუნების მოთხოვნილებებით მსჯელობთ. აქედან ჩანს, რომ ღვთის გამოცხადების მისაღებად საჭიროა არა მარტო გონება, რაზეც ამბობს მოციქული, არამედ გულის სიწმინდეც. ასევე ასწავლიდა მაცხოვარი: **უკეთუ ვინმე ნებასა მისსა ჰყოფდეს, ცნას მან მოძღურებაი ესე, ვითარ რაი არს:**

ღმრთისაგან **არს, ანუ მე თავით თვისით ვიტყვი** (იხ. 7,17). მოციქულებიც იმავეს ასწავლიან: **ყოველი რომელი ცოდვიდეს, მას არა უხილავს იგი, არცა იცის იგი** (1 იხ. 3,6). რადგან ადამის დაცემასთან ერთად მთელი კაცობრიობაც დაზიანდა და . ბუნებაში ღვთის გამოცხადება აღარ **კმარდა ადამიანებისათვის** ღვთის შესახებ **სწორი** და სრული **შემეცნების შესატყობად**, ისე რომ თავიანთ თავზე მინდობილმა ამა **სოფლის** ბრძენთაც **იცვალეს დიდებაი იგი უხრწნელისა ღმრთისაი მსგავსად ხატისა მის განხრწნადისა კაცისა და მფრინველთა და ოთხფერხთა და ქუეწარმავალთა** (რომ. 1,23). ამიტომ ამიერიდან ღვთივშემეცნებისათვის აუცილებელია ადამიანის განახლება ღვთის მადლით, ანუ რაც იგივეა, მადლით ზნეობრივი **სრულყოფა** განწმენდისა და გონებრივი ღვთივშემეცნების გაუმჯობესებისათვის.

უფალი, ამბობს პავლე მოციქული, ნათელსა **მყოფ არს მიუწდომელსა, რომელი არავინ იხილა კაცთაგანმან, არცა ხილვად ხელ-ეწიფების** (1 ტიმ. 6,16). ეს ნიშნავს, რომ თუმცა ღმერთმა თავის თავი გამოუცხადა ადამიანებს, მაგრამ ღვთის დიდებულება განუზომელია და ამიტომ მიუწვდომელიც. - ადამიანი უძლურია მთლიანად მოიცვას იგი.

ღვთისმხილველი მოსე ეუბნებოდა უფალს: **მიჩვენე დიდებაი თავისა შენისა**; უფლის პასუხიდან ჩანს (გამს. 33,18. 23), რომ სანამ ადამიანი ამ ქვეყნად ცხოვრობს, მისთვის შეუძლებელია წმიდა ღვთის არსის განჭვრეტა, **და ამ** მიწიერ ყოფაში, ღმერთი მხოლოდ ამ ყოფიერებისავის შესაფერის საზღვრებში ეცხადება მას და ადამიანს მხოლოდ ღვთის დიდების ანარეკლი ("ზურგი") შეუძლია იხილოს.

ღვთივშემეცნების შესახებ მოციქულთა მიერ გამოხატული ნიშნების მიხედვით ასეთ განსაზღვრებებს ვღებულობთ: ა) **სამყარო** და გამოცხადება, როგორც სარკე, ღვთის სახეს ირეკლავენ - და **ამ** გამოხატულებით ღმერთს შევიმეცნებთ; აქედან გამომდინარე ჩვენ ღმერთს **ვხედავთ**, **არა** უშუალოდ, **არა** როგორც ფიზიკურ სხეულს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ღვთის ანარეკლს; ბ) ღვთის პირი (სახე) გამოცანის **სახით** წარმოგვიდგება, ამიტომ გონებით უნდა განვსაჯოთ, რომ რაც შეიძლება ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას ჩვენთვის გამოჩენილი მაღალი საგნის თვისებების შესახებ; გ) ახლა (ამ ქვეყნად) ღმერთს მხოლოდ ნაწილობრივ შევიცნობთ და **არა** მთლიანად, და არა სრულიად, ზოგიერთი დასკვნის გათვალისწინებით მხოლოდ სარკეში არეკლილ ღვთის ერთ მხარეს შევიცნობთ. ამრიგად, ჩვენი შემეცნება ღვთისა საკუთრივ რწმენაა და არა მეცნიერება (ცოდნა).

მოციქული ამბობს, რომ სხვადასხვა დროს ღმერთი ადამიანებს ეცხადებოდა სხვადასხვა სახით (ებრ. 1,1), ხოლო რადგანაც ჩვენთვის ცნობილია, რომ ღვთის შემეცნების შესაძლებლობა ადამიანების მიღების უნარზეა დამოკიდებული, მოციქულის სიტყვებიდან ჩანს, რომ ღმერთი ამა თუ იმ დროს ადამიანებს იმდენს უცხადებდა, რამდენის მიღებაც მათ შეეძლოთ. მომავალ ცხოვრებაში სხვაგვარად ვიარსებებთ და ღვთის შესახებ შემეცნებაც სხვაგვარი გვექნება: თუმცა როგორც ჩვენს ყოფიერებაში, არც იქ ვიქნებით თავისუფალნი შეზღუდულობისაგან, მაგრამ შემეცნება უკვე სახეობრივი ცოდნა კი აღარ იქნება, არამედ ღვთის პირის-პირ ცნობა (რა თქმა უნდა მათთვის, რომლებიც ღვთის წინაშე წმინდანებად წარსდგებიან). ამრიგად, ღვთის შემეცნების ხარისხი ჩვენი მიმღეობის ხარისხზეა დამოკიდებული.

მამათა სწავლების საერთო დასკვნა გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვებით შეიძლება გამოიხატოს: "ღვთის შესახებ უნდა ითქვას, რომ იგი არც სრულიად მიუწვდომელია და არც სრულიად მისაწვდომი". ამისი დამადასტურებელია წმ. წერილში წარმოდგენილი ღვთის სახელებიც, რომლებიც თვით ღვთის მიერაა გამოცხადებული და ღვთის არსის ნამდვილი, თუმცა არასრული, გამომხატველია. მაგალითისათვის წარმოვადგინოთ ძველი აღთქმის ღვთის გამომხატველი ებრაული სიტყვები:

ელოჰიმ - ძალა, ძლიერება
იეღოვა - აბსოლუტურად მყოფი (არსი)
შადდაი - ყოვლისმპყრობელი, ყოვლადძლიერი
ელ - სიმტკიცე
ადონაი - ყოვლისმფლობელი
ელიონ - უზენაესი.

კიდევ უფრო სრულად და ამაღლებულადაა გამოხატული ღმერთი ახალ აღთქმაში, რადგანაც ახალ აღთქმაში ღვთის შესახებ თვით ძე ღმერთი ლაპარაკობდა. ასე მაგალითად, უფრო ნათლად და პირდაპირაა გამოთქმული, რომ ღმერთი სრულია (ყოვლადსრულყოფილი), მხოლოდ იგია სახიერი და ბრძენი, **სულ არს ღმერთი** (იხ. 4,24) - ეუბნება მაცხოვარი სამარიტელ დედაკაცს და მიგვითითებს უსხეულო არსის (ღმერთის) პიროვნულ არსებობაზე, რომელსაც გონთან და ნებასთან ერთად ყოფიერება თავისსავე თავში აქვს. მაგრამ ღვთის გამომხატველობა, ძველ აღთქმასთან შედარებით ახალი აღთქმის უპირატესობის მიუხედავად, მაინც ფარდობითია

როგორც თავს საგანთან, ისე გამოთქმის შესაძლებლობასთან მიმართებით.

ღვთის არსის თვისებები

არა მხოლოდ საერთოდ ღვთის, არამედ მისი ყოფიერების შესახებ მსჯელობისას, ჩვენ არ განვშორებივართ აზრს ღვთის, როგორც პიროვნული და ცხოველი არსის შესახებ. მაგრამ რა არის ეს პიროვნული და ცხოველი არსი? რომელია ღვთის არსის გამომააშკარავებელი თვისებები? კითხვა გარდაუვალია. მაგრამ არა ადვილად გადასაწყვეტი. მიუწვდომელზე მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რაც მან ადამიანისათვის თავისი თავის შესახებ გამოაცხადა, და ვთქვათ წინდახედულად.

სრულიად ზუსტი დაყოფა ღვთის თვისებებისა შეუძლებელია, იმიტომ რომ შეუძლებელია ღვთის არსის სრული შეცნობა. მაგრამ საკითხის შედარებით სწორად შერჩევა შესაძლებელიცაა და საჭიროც.

თვითმყოფადი. ამ თვისებით ღმერთი ყოფიერების არანაირ დამოკიდებულებასა და განსაზღვრულობას არ ექვემდებარება. იგი თავისთავად არსებობს და ყოველივეს აძლევს ყოფიერებას.

გონება თვითმყოფადობას ღვთის აუცილებელ თვისებად იმ კანონის მიხედვით მიიჩნევს, რომლითაც შემთხვევითი აუცილებელ საწყისს საჭიროებს და რიგი საბოლოო მიზეზებისა არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, არამედ შეჩერდება პირველ არსებაზე, თვითმყოფადზე, რომელსაც ყოფიერება არავისგან არ მიულია და ყველა მიზეზის მიზეზს წარმოადგენს.

თვით უფალი ამბობს თავის თავზე: **მე ვარ ღმერთი, მყოფი რომელი ვარ** (გამს. 3,14). ეს ნიშნავს, რომ იგი ამ სიტყვის სრული გაგებით არსებობს. თავის თავში სრულ ყოფიერებას მოიცავს და სხვა ყოველივეს ყოფა მასზეა დამოკიდებული.

ღვთის დამოუკიდელობას განსაკუთრებით ძლიერად და ნათლად გამოხატავს უფალი იესო ქრისტეს სიტყვები, როცა იგი ამბობს, რომ მამა ღმერთს ცხოვრება თავის თავშივე აქვს (ინ. 5,26).

მარადიული. ღმერთს ეკუთვნის ეს თვისება - მარადიულობა ანუ მუდმივი ოფა, რომლის მიხედვითაც მას არასოდეს არ დაუწყია და არც შეწყვეტს არსებობას.

გონებას არ შეუძლია არ აღიაროს ღვთის ეს თვისება, რადგან მისი უარყოფა ღვთის ყოფიერების უარყოფამდეც მიიყვანდა. ღმერთი და

მარადიულობა - ერთმანეთისაგან განუყოფელია. გამოცხადება გვასწავლის: **პირველ** მთათა დაბადებადმდე, **და შექმნად ქვეყანისა, და სოფლისა და საუკუნითგან და უკუნისამდე შენ ხარ** (ფს. 89,2). ღმერთი არა მხოლოდ დროზე და დროებითი ყოფიერების პირობებზე არაა დამოკიდებული, არამედ ნეტარი ავგუსტინეს სიტყვით რომ ვთქვათ, თვითონაა დროისა და ყოველივე დროში წარმავალის შემოქმედი.

უცვლელი. ეს ისეთი თვისებაა, რომლის გამოც ღვთის ძალების ნებისმიერი კლება ან მატება, ყოფიერების ერთი სახიდან მეორეში გადასვლა გამორიცხულია. ასე რომ, ღმერთი ყოველთვის ერთი და იგივეა.

გონება ამ თვისებას მიაწერს ღმერთს, როგორც დამოუკიდებელ არსს, რადგან თვითარსისათვის გაფართოებაცა და შევიწროებაც, ისევე როგორც მარადიულისათვის ყოფიერების ერთი სახიდან მეორეში გადასვლა შეუძლებელია.

ხოლო რაც შეეხება წმ. წერილში აღნიშნულ ღვთის სინანულსა და რისხვას, მხოლოდ ღმერთთან ადამიანის დამოკიდებულებას გამოხატავს, რადგან ღვთის განწყობას ჩვენს მიმართ ვსწავლობთ არა სხვაგვარად, თუ არა ჩვენს ენაზე.

ყველგანმყოფი. ამ თვისებით ღმერთი ყველაფერთან და ყველასთან ერთნაირად ახლოა, და ამიტომ, როგორც არავისაგან გამოკლებულსა და არაფრით დამთავრებულს, სხვაგვარად განუზომელი ეწოდება.

გონება ღვთის ასეთ თვისებას ღვთის ყოფის თვითმყოფადობის აუცილებელ შედეგად მიიჩნევს. ღმერთი რომ ყველგან არ ყოფილიყო, მაშინ ის იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, რაც მისი ყოფისა და მოქმედების საზღვრებს დაადგენდა. ამიტომ ღვთის ყველგანმყოფობას წარმართი ბრძენნიც კი უშვებდნენ, თუმცა ციური სხეულების თაყვანისცემა, ისევე როგორც მიწიერი საგნების გაღმერთება, ღვთის განუზომელობის აშკარა წინააღმდეგობა იყო.

თუკი ზოგჯერ წმ. წერილი ღმერთის სუფევის ადგილს ცაზე წარმოგვიდგენს, ან მას სადმე მყოფს გამოხატავს, ამით მხოლოდ მის განსაკუთრებულ დიდებულებაზე, ან მის სახელებაზე მიუთითებს.

რადგან გამოცხადება ღვთის ყველგანმყოფობის ჭეშმარიტებაში გვარწმუნებს, მაგრამ ყველგანმყოფობის სახეს სიზუსტით არ წარმოგვიდგენს, ისღა დაგვრჩენია, ყველგანმყოფობის განუმარტებელი სახე ჩაუძიებლად განვმარტოთ, აზრი ღვთის ყველგანმყოფობის შესახებ ჩვენს ზნეობრივ ყოფას შევუსაბამოთ და წმ. იოანე

ოქროპირის სიტყვები გავიმეოროთ: "ვიცით, რომ ღმერთი ყველგანაა, მაგრამ როგორ - არ გვესმის".

სული. როგორც სივრცისა და დროის ყოფიერების პირობებიდან განდგომილი (თავისუფალი) ღმერთი უწმიდესი სულია.

ღვთის სულობა არა მხოლოდ სიმარტივე და ყოფიერებაა, რომელსაც არანაირ ნაწილთა შენაერთთან არავითარი კავშირი არა აქვს, არამედ იგი პიროვნული დამოუკიდებელი ყოფიერებაა.

საღი გონება აღიარებს თავისუფალ სულს, როგორც ღვთის აუცილებელ თვისებას: ა) იმიტომ, რომ სხვაგვარად მას არ შეუძლია ახსნას შექმნილი სულების არსებობა, და ბ) იმიტომ, რომ თვითმყოფადი არსი რთული რომ ყოფილიყო, ცვლილებასა და დაშლას განიცდ და. ასევე შეუძლებელი იქნებოდა, რომ იგი წმიდისა და გონიერის საწყისი ყოფილიყო; სიწმიდეც, უცვლელობაც და მარადიულობაც შეუსაბამოა ნივთიერ სირთულესთან და მაშასადამე ეს უკანასკნელი სრულყოფილი არსის საწინააღმდეგოს წარმოადგენს. ციცერონი წერდა: "სხვაგვარად შეუძლებელია წარმოვიდგინოთ იგი (ღვთაება), თუ არა როგორც გონი თავისუფალი ნებით, რომელიც არავითარ ნივთიერ მინარევთან არაა დაკავშირებული და ყოველივეს სულისჩამდგმელი და მამოძრავებელია".

ახალი აღთქმის გამოცხადება მთელი სიცხადით წარმოგვიდგენს როგორც ღვთის არსის უმაღლეს სიმარტივეს, ისე თვითმყოფად პიროვნებას. მაცხოვარი ამბობს: **სულ არს ღმერთი** (ინ. 4,24). აზრობრივი კავშირი გვიჩვენებს, რომ მაცხოვარი ასახელებს რა ღმერთს სულად, მასში მარტივ, არანივთიერ არსს გულისხმობს. იმის დასადასტურებლად, რომ სული უსხეულო არსს ნიშნავს, თვით მაცხოვარის სიტყვები გავიხსენოთ: **სულსა ხორც და ძვალ არა ასხენ** (ლკ. 24,39); ან როგორც სხვაგან ამბობს : სული ხორცის საწინააღმდეგო ცხოველმყოფელი საწყისია (ინ. 6,13), "ღმერთის თვალით დანახვა მსგავსად სხვა ცოცხალი არსებებისა, შეუძლებელია; იგი მხოლოდ გონებით აღიქმება, როგორც პლატონი ამბობს და მე მისი მჯერა" (წმ. იუსტინე, პლატონის შესახებ).

გონი. რადგან ღმერთი თვითმყოფადი სულია: მისი სიცხოველე უსრულყოფილესი ვონით მჟღავნდება.

და რა არის ღვთის გონი?

ღმერთში ძალა არ შეიძლება იყოს უმოქმედოდ, არ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ შესაძლებლობის მნიშვნელობით, როგორც ეს შეზღუდულ სულში ხდება. ამიტომ ღვთის გონი ამავე დროს არის ცოდნა (მჭვრეტელობა, ხედვა); სხვაგვარად ღვთის გონი არის თვით

ყოფიერება ჭვრეტის მდგომარეობაში და მისი ცოდნა მისივე ყოფიერებისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ღვთის გარეთ არსებულსაც მოიცავს.

ღმერთის ყოვლისმცოდნეობაში არა მხოლოდ ის იგულისხმება, რომ მან ყველაფერი იცის, არამედ ისიც, რომ იცის ყოვლად სრულყოფილი სახითაც.

ადამიანი თავის თავს შეიცნობს არასრულად და თან სამყაროსა და ღვთის შემეცნების საშუალებით. ღმერთში კი, თვით შემეცნება სრულია და მას ამისათვის არავითარი საშუალებანი არ სჭირდება. თუკი ღმერთს შექმნილთაგან რაიმე არ ეცოდინებოდა, მაშინ ეს იმაზე მიანიშნებდა, რომ მისი ყოფიერება ყველგანმყოფის ყოფიერებას არ წარმოადგენს. გამოცხადება გვასწავლის, რომ ღვთისათვის, უმცირესი საგნების ჩათვლით, ყველა ქმნილება ცნობილია (ებრ. 4,13, მთ. 10,29).

ყველა ქმნილება დროის კანონს ემორჩილება და ხან აწმყოს, ხან წარსულს და ხან მომავალს მიეკუთვნება; ამიტომ წმ. წერილი, აღწერს რა ღვთის ცოდნას, როგორც ყოვლისმომცველს, მას ქმნილების ყოფიერების სამივე დამოკიდებულებაზე ავრცელებს. ეს ცოდნა აგრეთვე ადამიანის გულის საიდუმლო ზრახვებზეც ვრცელდება.

როგორც ავღნიშნეთ, ღვთისთვის მომავალიც ცნობილია, მაგრამ ღვთის წინასწარ ცნობა და ადამიანის თავისუფლება ერთმანეთთან შეთავსებულია. ნეტ. ავგუსტინეს მსჯელობით: "თუ ღვთისათვის მთელი რიგი მიზეზებისა ცნობილია; - ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენს თავისუფალ ნებაზე რაიმე არ იყოს დამოკიდებული. თვით ჩვენი სურვილები მიზეზთა იმ რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ღვთისათვის ცნობილია მისი წინასწარცნობის გამო, რადგან ადამიანური სურვილები -ადამიანურ საქმეთა მიზეზებს ემსახურებიან. ადამიანი იმიტომ კი არ სცოდავს, რომ ღმერთმა წინასწარ განჭვრიტა, რომ ის ცოდვას ჩაიდენდა".

ყოვლადბრძენი. ღვთის სიბრძნე არის საუკეთესო მიზნებისა და საშუალებების სრულყოფილი ცოდნა და ასევე უნარი უკანასკნელის პირველთან შეთანხმებისა.

ბუნებრივი გონებაც სამყაროს მოწყობილობის განხილვის, ხალხების და თითოეული ადამიანის ბედზე დაფიქრებისას, ყოვლისმპყრობელის უდიდეს სიბრძნეში რწმუნდება. ძვ. აღთქმის გამოცხადება სამყაროზე, როგორც ღვთის უდიდესი სიბრძნის სარკეზე მიუთითებს; ახალ გამოცხადებაში კი, - ყოვლადბრძენის საქმე ქრისტეს მიერ ჩვენი გამოხსნის აღსრულებაა.

ნება. ღვთის არსი გონის გარდა ნებითაც მეღავნდება. როგორც ღვთის გონია ყოვლად სრულყოფილი, ასევე მისი ნებაც ყოველად სრულყოფილია. ეს ღვთის ის თვისებაა, რომლითაც ღმერთს თავისი გონის მაღალი ზრახვების შესაბამისად მხოლოდ სიკეთე ნებავს და თავის სურვილებს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე აღასრულებს.

წმ. წერილი ნათლად ამბობს იმის შესახებ, რომ სამყაროს შექმნაც ღვთის ნების საქმეა და ღმერთს ადამიანის გადარჩენა სწადია. ღმერთს, განფენს რა თავის სურვილებს სამყაროსა და ადამიანზე, საკუთრივ თავისივე სრულყოფილების გამოვლენა ნებავს (კოლ. 1,16, ებრ. 2.10) "უფალს არ ნებავს ის, რაც მისი შექმნილი არ არის", - ამბობდა ტერტულიანე. ღვთის ნება - სურვილი იმიტომაც **არის** სამყაროს საჭიროებებთან შეთანხმებული, რომ იგი თვით ღმერთის თვისების შესაბამისია. ღმერთს მხოლოდ ერთი რამ - სიკეთე **სწადია**, არა და არ შეიძლება ღვთის ნებაში გაორება იყოს.

გამოცხადების სწავლებით, სურს რა ღმერთს ადამიანის **გადარჩენა**, მას მხოლოდ მისივე (ადამიანის) სურვილის **გათვალისწინებით იხსნის** (ლკ. 10,25-28; მრკ. 16,16; მთ. 23,37). ეს პირობა იმიტომაც **უნდა** იყოს დაცული, რომ ადამიანის თავისუფლება ღვთის საქმეა, **რომელსაც** ღმერთი თავისივე თავის წინააღმდეგობის გარეშე **ვერ შეცვლის**, ამიტომაც იგი ადამიანს ხელს არ უშლის ბოროტების **ჩადენაში**. მისი კეთილმნებელობა სიკეთის მიმართ აქაც იმაში **მეღავნდება, რომ** ბოროტების მწარე შედეგი ადამიანის განმგებლობაში **კი არ რჩება**, არამედ ღვთის ნებას ემორჩილება, რომელსაც **სურს ბოროტება** მწარე წამლობით გამოასწოროს.

ნების თავისუფლება. ეს თვისება იმას **ნიშნავს, რომ ღმერთი** ყოველგვარი გარეშე ძალის **რჩევის გარეშე, ყოველივეს მხოლოდ** საკუთარი გონიერი ბჭობით (რჩევით) **განსაზღვრავს. სხვაგვარად** მას თვითნებელობა შეიძლება ვუწოდოთ.

ღვთის თავისუფალი ნების, **როგორც მხოლოდ** სიკეთის გამოვლინებაზე, თვითონ **გამოცხადება გვეუბნება. იგი** საშუალებას გვაძლევს ღვთის სრული **თავისუფლება დავინახოთ:**

ა) ქვეყნის შექმნაში (ფს. 113; 11);

ბ) ქვეყნის **მოწყობის** განგებულებაში **(დან. 4,32)**;

გ) ცოდვილი ადამიანების **გადარჩენის** საქმეში. მოციქული პატივმოყვარე **იუდეველთა აზრის** უარსაყოფად, თითქოს ისინი ღმერთს **თავის ერად დამსახურების მიხედვით** აერჩიოს, ისააკისა და იაკობის მაგალითზე **მიუთითებს (რომ. 9,10-11)**, რომელთა ხვედრი მათ შთამომავალთა ხვედრთან **ერთად დაბადებამდე** გადაწყვეტილი იყო:

რაითა რჩევით წინა-განმზადებაი იგი ღმრთისაი ეგოს[15]. შემდეგ **მოციქული** იმავე ღვთის ნების თავისუფლებას მოსეს სიტყვებით **(მუხლ. 15)**, ფარაონის ხვედრით (მუხლ. 19) **და** ყველა ქმნილების **ხვედრის** მეკეცის თიხასთან **შედარებით** (მუხლ. 21) **ამტკიცებს**; და **ბოლოს** კი ღვთის თავისუფალი **მოქმედების** მიზანზე **მიუთითებს (მუხლ. 22-23)**.

დ) თუკი ბუნებრივ **გონებას** საეკვოდ **მოეჩვენება** ის, **რომ** ღვთის **თავისუფალი** ნება **სამყაროს** შექმნისას **ამქვეყნიური** კანონებით **იყო** შეეიწროებული, **გამოცხადება** როგორც ღვთის ნების საქმეს **წარმოადგენს** სასწაულებსა **და** წინასწარმეტყველებს, **რომლებიც** სამყაროს **კანონებზე** სრულიად **არ** არიან **დამოკიდებულნი**. **დაკვირვებით** განხილვისას, ბუნების **კანონებიც**, ე. **წ.** უცილობელი, **მათემატიკური**, ლოგიკური ჭეშმარიტებებიც **მხოლოდ** იმ **შემთხვევაში** **არიან** უცვლელნი, **თუკი** ისინი **უმაღლესი** ნების **განზრახვას** ემორჩილებიან, **რომელმაც** მათ ყოფიერება **მიანიჭა**; **ამიტომაც** **ღვთიური** **გზების** **განსაზღვრულობის** **მიუხედავად** **ჩვენი** **ლოცვებიც** **მართებულია**. **ლოცვებს** **რომ** **სამყაროს** **განმგებლის** **გეგმების** **შეცვლა** **არ** **შეუძლია**, **ეს** **ოავისთავად** **ნათელია**, **მაგრამ** **გულწრფელად** **მლოცველი** **ამბობს** **"იყავნ ნება შენი"**, **რაც** **იმას** **ნიშნავს**, **რომ** **ღვთის** **თავისუფალ** **გეგმებში** **ლოცვებიც** **შედის** **თავისი** **შედეგებითურთ**.

აღიარებს **რა** **ღვთის** **არსის** **თვითმყოფადობას**, **ეონებ.მ** **ღვთის** **ნების** **სრული** **თავისუფლებაც** **უნდა** **აღიაროს**, **რადგან** **არ** **შეიძლება** **რაიმე** **აღძვრა** **განიცადოს** **იმან** (**ღმერთმა**), **ვინც** **არავისზე** **და** **არაფერზე** **არაა** **დამოკიდებული**. **ეკლესიის** **მასწავლებლები** **ამ** **აზრს** **იმათი** **მხილებისას** **განმარტავენ**, **რომლებიც** **ამტკიცებდნენ**, **რომ** **სამყარო** **არა** **ღვთის** **ნებით**, **არამედ** **აუცილებლობით** **წარმოიშვა**, **როგორც** **ჩრდილი** **სხეულისაგან**, **აგრეთვე** **იმათ** **წინააღმდეგ** **მსჯელობისას**, **რომლებიც** **სამყაროსაც** **და** **ღმერთსაც** **ბრმა** **ბედისწერას** **უქვემდებარებდნენ**.

ყოვლადძლიერი. **სურვილებში** **თავისუფალი** **ნება** **ღვთისა** **არაფრით** **არაა** **შეზღუდული** **გადაწყვეტილებების** **აღსრულებისასაც**, **ანუ** **სხვაგვარად**, **ყოვლადძლიერებითაა** **აღჭურვილი**. **წმ.** **ეპიფანეს**

---

15) ჩვენი წყარო განმარტავს, რომ ბერძნულ ტექსტში ხმარებული სიტვა "ეკლოგე" ("კატ ეკლოგენ" ქართ. არჩევანი) თავისუფლების გამომხატველია და მოციქულიც იმიტომ ამატებს ამ სიტყვას, რომ ღვთის ნების თავისუფლება გამომჟღავნდეს. სამოციქულოს ქართულ თარგმანში გამოყენებული სიტყვაც ("რჩევით") თავისი მნიშვნელობით იმავე აზრს გამოხატავს, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ღვთის ნების თავისუფლებას სწორედ მისი საკუთარი არჩევანი განსაზღვრავს. **(გ.ო.)**

სამართლიანი თქმით: "მას ყველაფრის გაკეთება შეუძლია, რასაც კი მოისურვებს. მაგრამ მხოლოდ ღვთისათვის შესაფერისს აკეთებს", ეს როგორც კლიმენტი რომაელი გვასწავლის: "ღვთისათვის არაფერია შეუძლებელი, გარდა ტყუილისა", ნეტ. ავგუსტინე კი წერს: "ღმერთს, რადგანაც ყოვლისშემძლეა, - არ შეუძლია მოკვდეს, მოტყუვდეს და ყოვლადძლიერი იმიტომაცაა, რომ ყოველივე ეს არ აღემატება მის ძლიერებას, რადგან სიკვდილი რომ შეძლებოდა, მაშინ არც ყოვლისშემძლე იქნებოდა".

სიწმინდე. ღვთის თავისუფლება, განხილული მოქმედების აღძვრასთან დამოკიდებულებაში, წარმოადგენს ზნეობრივ თავისუფლებას ანუ სიწმინდეს. ეს ისეთი თვისებაა, რომლითაც ღვთის ნება ყოველთვის და ყველაფერში ეთანხმება თავისივე შეხედულებას ყოვლადსრულყოფილ სიკეთეზე, რომელიც თვით ღმერთში არსებობს. ეს არის მუდმივი და სრული თანხმობა სურვილისა და მოქმედებისა საქმის სრულყოფილი აღსრულებით.

წმ. წერილი, როცა ღვთის სიკეთეზე მიუთითებს, ზოგჯერ მასში ღვთის ხელშეუხებელსა და უაღრეს დიდებულებას გულისხმობს; ან შეიძლება საკუთრივ მისი ნების ზნეობრივ სრულყოფილებას გამოხატავდეს.

აზრი ღვთის სიწმინდის შესახებ იმდენად ბუნებრივია ადამიანისათვის, რომ მრავალი წარმართთაგანიც ღმერთს წმინდად მიიჩნევდა (ესქილე, სოფოკლე), თუმცა ჰომეროსთან წარმოდგენილი ბერძნული ხალხური ღვთისმეტყველება ბერძენ ხალხს პატივს არ ჰმატებს. აზრის უარყოფა ღვთის სიწმინდის შესახებ გონებისათვის იგივე იქნებოდა, რაც ჩვენი სულიერი ბუნების თანდაყოლილი ზნეობრივი კანონის უგულებელყოფა ან რაც იგივეა, რომ არ მიგვეღო აზრი ღმერთის, როგორც ყოვლადსრულყოფილი არსების შესახებ; რადგან სიწმინდე გონიერ-თავისუფალ არსებაში სრულყოფილებათაგან პირველია, ხოლო ცოდვა - ნაკლულოვანებათაგან უარესი.

სახიერი. ღვთის ნება სიყვარულია, სახიერებაა. მოციქულის თქმით - ღმერთი სიყვარულია (1 იან. 4,18). და რა თქმა უნდა არა მხოლოდ ქმნილებათა მიმართ დამოკიდებულებაში, - იგი სიყვარულია, იგი სახიერებაა თავის თავად (თავის თავში). ამრიგად, ღვთის სახიერება არის სიყვარული სრულყოფილებისა და სიკეთის მიმართ, თავისივე თავისა და სხვებისათვის.

ღვთის სახიერება სხვადასხვა დამოკიდებულების მიხედვით, რომელიც ხალხისა და ქვეყნიერების მიმართ ვლინდება,

სხვადასხვაგვარად იწოდება: კაცთმოყვარეობა, მოწყალება, მოთმინება, შეწყნარება და მადლი.

ყველაზე უფრო საოცარი მტკიცება ღვთის სიყვარულისა ადამიანების მიმართ, ნუგეშენისმცემელის მადლითა და ძე ღმერთის მიერ დაცემული ადამიანის აღდგენაა.

ვინც არ უნდა იმსჯელოს ღვთის საქმეთა შესახებ, იგი გულის სიღრმიდან უნდა აღიარებდეს, რომ ღმერთი ჭეშმარიტად სიყვარულია. ამაზე ბალახის ყოველი ღეროს არსებობაც მეტყველებს, იმიტომ რომ სიცოცხლით ტკბება. მით უმეტეს ამას აღიარებს ადამიანის სულიერი ბუნება, როგორც არ უნდა დაამახინჯოს იგი თვით ადამიანმა: ღვთის სახიერებას ხომ თვით წარმართებიც აღიარებდნენ. ისინი მიიჩნევდნენ, რომ რამდენადაც ადამიანის სიცოცხლე საფლავით არ მთავრდება, ხოლო ამქვეყნიური განსაცდელები ზნეობრივ სიკეთეს ასწავლიან, ამდენად ფიზიკური ბოროტება სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ღვთის სახიერებას.

სიმართლე. ღვთის სიმართლე ისეთ თვისებას წარმოადგენს, რომლითაც თვით ღმერთს, უყვარს რა ზნეობრივი კანონის ერთგულება, სურს, რომ გონიერი ქმნილებებიც აღასრულებდნენ მას, ამიტომაც აძლევს მათ კანონს და შესრულებისას აჯილდოვებს კიდეც, ისევე როგორც დარღვევის შემთხვევაში სჯის. ამგვარად, ღვთის სიმართლე ორგვარ მოქმედებაში ვლინდება და მას ზოგჯერ საკანონმდებლო და ზოგჯერ სასყიდლის მიმგები სიმართლე ეწოდება.

წმ. წერილი გვასწავლის, რომ ღმერთი **ერთი არს სჯულის მდებელი** (იაკ. 4,12), **რამეთუ ესე არს ნება ღმრთისა, სიწმინდე ეგე თქუენი** (1 თეს. 4,3) და იქვე მითითებულია, რომ ღვთის ბრძანებები ორგვარია: ერთნი თვით ჩვენს გულშია ჩაწერილი და **ბუნებით** წესს წარმოადგენენ, მეორენი კი დადებითი დებულებებისაგან შედგებიან; ასეთია **ძველი** წესი, რომელიც ისრაელს სინაზე მიეცა, და **ახალი** წესი, რომელიც უფალი იესო ქრისტეს მიერ გამოცხადდა და ჩვენს გულებში სულიწმინდითაა ჩაწერილი (იერ. 31,33; ებრ. 8,8-11).

გონებას არ შეუძლია ღმერთში თავის სჯულმდებელს არ ხედავდეს: სინდისი - ჩვენი შინაგანი მოსამართლე - განუწყვეტლივ გვახსენებს იმას, ვის მცნებებსაც ჩვენ ვარღვევთ.

გამოცხადება ღმერთში სამართლიანი სასყიდლის მიმგებსაც ნათლად წარმოაჩენს:

ა) სასყიდლისმიმგები ღვთის სიმართლე თავის მოქმედებას ყველა ზნეობრივ არსებაზე განავრცობს, ყველას მიმართ მიუკერძოებელია, უმაღლესი გონის შესატყვისი აზრით მოქმედებს და ამიტომ

წყალობასა და სასჯელს მოქმედების მიზანთან, მოქმედების ძალისა და საშუალების ზომასთან ათანხმებს.

ბ) ყოველი სიკეთისათვის აჯილდოვებს, ერთი ჭიქა ცივი წყლისთვისაც კი (მთ. 10,42). უფალი სიმართლის გვირგვინს ყველას მიუძღვნის, ვინც მის გამოჩინებას (გამოცხადებას) შეიყვარებს (2 ტიმ. 4,7-8).

ვ) სჯის ან დასჯის ცოდვილებს მთელი მათი ბოროტებისათვის: მისი სახე ადამისა და კაენის, წარღვნამდელი ქვეყნისა და სოდომისა და გომორის ბედშია ნაჩვენები.

მიციქული გვასწავლის: **ნუ სცდებით, ღმერთი არა შეურაცხიქმნების. რამეთუ რაცა იგი თესოს კაცმან, იგიცა მოიმკოს. რამეთუ რომელ^ან თესოს ხორცთა შინა თვისთა, ხორცთა მიერ თვისთა მოიმკოს ხრწნილება** (გალატ. 6,7-8).

ძვ. აღქმის გამოცხადება, გრძნობათა მორჩილი და თვითნება ადამიანების გამოსაფხიზლებლად, ღვთის დამსჯელ სიმართლეს შემაშინებელი სახელებით წარმოადგენს და ადამიანურად ღმერთს შურისმაძიებელს, ცეცხლის შთანმთქმელს უწოდებს და დიდ მრისხანებასაც მიაწერს მას. ასეთი გამოხატვა დროშია ნაგულისხმევი, მაგრამ მათი აზრი მარადიულია.

ძვ. აღქმის გამოცხადება ადამიანებს უმეტესად მიწიერ წყალობასა და სასჯელს აღუთქვამდა, რადგან გრძნობას დამონებულ ადამიანებს ხილული განსაცდელები უფრო აშინებენ, ვიდრე სულიერი. ახალი აღთქმის გამოცხადებამ კი ადამიანებს განსაკუთრებული, სიცხადით წარმოუჩინა მარადიულობა: სასტიკი-ცოდვილებისათვის და ნეტარი-მართალთათვის.

გონებაც ჭეშმარიტებად მიიჩნევს, რომ ღმერთს არა მხოლოდ ცოდვისა და სიქველის ბუნებრივი შედეგის გამოცდის დაშვება შეუძლია, არამედ მისთვის საკუთარი სიმართლის მოქმედებაცაა დამახასიათებელი. უსამართლობა სხვების მიმართ ადამიანებს ახასიათებთ - ან გონების ან ნებისყოფის სისუსტის გამო. მაგრამ ღმერთში არც ერთს და არც მეორეს არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს; როგორც ყოვლადძლიერ გონს, მას ყველა საშუალება აქვს, საქმეების შესაბამისად მიაგოს ყველას, როცა საჭიროდ ჩათვლის.

კალესიის მამებმა გადაჭრეს ის გაუგებრობა, რომელიც ღვთის სიმართლესთან იყო დაკავშირებული.

როგორ შევათანხმოთ ღმერთში ცოდვილის დამსჯელი სიმართლე უსასრულო სიკეთესთან? - გნოსტიკოსებსა და მანიქეველებს ეს დაუშვებლად მიაჩნდათ და ამიტომ ორი საწყისი მოიგონეს - კეთილი

ღმერთი და ბოროტი ღმერთი. საწინააღმდეგოდ მსჯელობდნენ ეკლესიის მასწავლებლები: ჭეშმარიტი ღმერთი აუცილებლად უნდა იყოს სახიერიცა და სამართლიანიც; თუ არ იქნებოდა ერთიცა და მეორეც, ან რომ ყოფილიყო სახიერი, მაგრამ არა სამართლიანი, იგი არც ღმერთი იქნებოდა, მისი სახიერება სამართლიანი სახიერებაა, რადგან უყვარს სიკეთის მყოფელი და წყალობს მახვეწარს. ასევე მისი სიმართლეც - სახიერი სიმართლეა, რადგან სჯის ჩვენი ზნეობრივი სარგებლობისა და უმაღლესი სრულყოფილების მიღწევისათვის.

როგორ შევათანხმოთ სიმართლესთან ის, რომ აქ მართალნი იტანჯებიან, ხოლო ცოდვილები ბედნიერებით ტკბებიან?

ა) ამ ქვეყნად სრულიად მართალი არავინაა. ამიტომ სამართლიანად ისჯებიან მართალნიც, ისევე როგორც სამართლიანად ტკბებიან ისინი მშვიდობით;

ბ) და ცოდვილების უმეტეს ნაწილშიც ბევრია კეთილი. ამიტომ თუმცა აქ ცოდვილები სინდისისაგან იქენჯნებიან და საკუთარი ცოდვებისაგან იდევნებიან, მაგრამ სიკეთითაც სამართლიანად სარგებლობენ.

გ) როგორც მართლებს, ისე ცოდვილებს საბოლოო სამართლიანი განსასჯელი მარადიულობაში ელოდება (2 თესკ. 1,4-10).

ნეტარება. გონებისა და ნების მოქმედებათა შეგრძნება საბოლოო ჯამში ყოველთვის მშვიდობისა და სიხარულის შეგრძნება როდია. ღვთის ზემოქმედება კი თავის თავზე ყოველთვის ნეტარებას წარმოადგენს. ღვთის ნეტარება ღვთის ყოფიერების იმ თვითგანსაზღვრებულობას ნიშნავს, რომლითაც ღმერთი, ფლობს რა გონებისა და ნების უმაღლეს სრულყოფილებას, ტკბება ყველა ძალის შეთანხმებული მოქმედების შეგრძნებით, რომელიც უსრულყოფილეს სიცოცხლესა და მისი ქმნილებების ნეტარების წყაროს წარმოადგენს. ღმერთი ტკბება ნეტარებით, რომელიც არავისზე და არაფერზე არაა დამოკიდებული.

ღმერთი სამპიროვანია - მამა და ძე და სული წმიდა

წმ. სამების საიდუმლოს მითითებანი ძველ აღთქმაში

ძვ. აღთქმის გამოცხადებას სამართლიანად შეიძლება ეწოდოს მრავალღმერთიანობის მხილება და მოძღვრება ერთი ღმერთის რწმენის